

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2020 წლის 13 მარტი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №49 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, 010250020.35.167.016340).

მუხლი 2

ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება“ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება

1. დებულების მე-3 მუხლის

ა) „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„ე) მერიის თანამშრომლებთან ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, აღრიცხვასა და კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე.“;

ბ) „წ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„წ) მერიის თანამშრომლებზე მოხელის კლასის მინიჭების საკითხის მომზადებას.“;

გ) „ხ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„ხ) მუნიციპალიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზებას;“.

2. დებულების მე-5 მუხლის:

ა) „ზ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„ზ) მერიის თანამშრომლებთან ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, აღრიცხვასა და კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე.“;

ბ) „კ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„კ) მერიის თანამშრომლებზე მოხელის კლასის მინიჭების საკითხის მომზადებას.“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

